

## დანართი #1

ცხადდება ტენდერი თანამშრომლების სამსახურში ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით.

### მომსახურების შესყიდვის მახასიათებელი მონაცემები:

თანამშრომლების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს თბილისის სხვადასხვა ლოკაციიდან ლილოში, კობახიძის ქუჩა #33-ში და უკან დაბრუნება საწყის ლოკაციამდე.

საჭიროა მიკროავტობუსები იყოს მინიმუმ 20 ადგილიანი და 3.5 ტონამდე ტვირთამწეობის.

დილით, საწყისი ლოკაციიდან ისე უნდა მოხდეს ტრანსპორტირების დაწყება, რომ კობახიძის ქუჩა #33-ში თანამშრომლები იყვნენ არანაკლებ 08:55 საათზე.

სადამოს კობახიძის ქუჩა #33-დან ტრანსპორტირება დაიწყოს 18:00 საათიდან 18:15 საათის ფარგლებში და დასრულდება კონკრეტული მარშრუტის ბოლო ლოკაციაზე.

სამუშაო არის ყოველდღიური გარდა დასვენების და სადღესასწაულო დღეებისა.

ტარიფი უნდა მოიცავდეს ყველ საჭირო გადასახადს და სატრანსპორტო საშუალებისთვის გასაწევ მომსახურებას.

მერიაში მარშრუტის შეთანხმება მოხდება დამკვეთის მხრიდან.

მომსახურების ტარიფის წარმოდგენა შესაძლებელია როგორც დღიური ანაზღაურების სახით, ისე გავლილი კილომეტრების მიხედვით.

მანქანის დაზიანების შემთხვევაში, აუცილებელია მისი ჩანაცვლება იმავე დღეს, რომ არ შეფერხდეს თანამშრომლების გადაადგილება.

შესაძლებელია საჭირო გახდეს მომსახურების მიღება არასამუშაო დღეებში.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ავტომანქანების მოდელები და მანქანების ფოტომასალა.